

## სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

### ხადას ხეობის განაშენიანების გეგმის კონცეფციის სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების სკოპინგის დასკვნა

**სტრატეგიული დოკუმენტის პროექტის დასახელება:** ხადას ხეობის განაშენიანების გეგმის კონცეფცია

**დამგეგმავი ორგანო:** სსიპ სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტო

**სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელების არეალი:** დუშეთის მუნიციპალიტეტი, ხადას ხეობა

2023 წლის 21 აგვისტოს სსიპ სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტოს მიერ სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენილ იქნა ხადას ხეობის განაშენიანების გეგმის კონცეფცია და სკოპინგის განცხადება.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ შესაბამისად, სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრმა უზრუნველყო წარმოდგენილი ხადას ხეობის განაშენიანების გეგმის კონცეფციისა და სკოპინგის განცხადების (თანდართული დოკუმენტაციით), როგორც გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე განთავსება (<http://eia.gov.ge/ka/info/d2d1cfb1-937d-424e-8255-b28c1bab646d>), ასევე დოკუმენტაციის გაგზავნა დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე განთავსების მიზნით.

ამასთან, ვინაიდან, მიმდინარეობს სსიპ სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტოს სტრუქტურის ფორმირება, ამ ეტაპზე უწყებას ოფიციალური ვებგვერდი არ გააჩნია. იმის გათვალისწინებით, რომ სააგენტო წარმოადგენს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, ხადას ხეობის განაშენიანების გეგმის კონცეფციის სკოპინგის განცხადება და თანდართული დოკუმენტები განთავსდა სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე (იხ. ელ. ბმული - <https://www.economy.ge/?page=economy&s=163>)

სკოპინგის განცხადება მოიცავს ინფორმაციას, როგორც დამგეგმავი და უფლებამოსილი ორგანოების შესახებ, ასევე სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასებით გათვალისწინებული პროცედურების თაობაზე.

სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელების ტერიტორია მდებარეობს კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედის სამხრეთ ფერდობზე, ხადას ხეობაში. ხადას ხეობის განაშენიანების გეგმა მოიცავს შემდეგ სოფლებს: ქვეშეთი, არახვეთი, ზაქათკარი, ბედონი,

ციხიანი (ციხიანთ კარი), შარმიანი (შარუმანთ კარი), ქოროლო, სვიანა- როსტიანი (როსტიანთ კარი), გომურნი, იუხო, ბეგონი (ბენიანთ-ბეგონი, ბეგოთ კარი), მულურე (მიღურე), წკერე (ციკარა), საერთო ფართობით 2 721.5 ჰა. აქედან ნაშენი ტერიტორიის ფართობი 96.6 ჰექტარია.

დუშეთისა და ყაზბეგის მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ჟინვალი-ლარსის საავტომობილო გზის ქვეშეთი-კობის მონაკვეთის მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 25 აპრილის N2-354 ბრძანებით გაცემულია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება. დოკუმენტაციის თანახმად, ხადას ხეობის განაშენიანების გეგმის ხედვა ემსახურება ხეობის განვითარების პირობების დადგენას ქვეშეთი-კობის მონაკვეთის მშენებარე გზის პარალელურად. განვითარების ხედვამ, დოკუმენტის მიხედვით, უნდა უზაუსხოს ახალი გზის მშენებლობის და არსებობის შედეგად მოსალოდნელ გამოწვევებს და შესაძლებლობებს, ბუნებრივი გარემოს (ბუნებრივი ლანდშაფტის), კულტურული მემკვიდრეობის და სოციალური გარემოს კუთხით.

საქართველოს მთავრობის 2018 წლის 12 ივნისის №331 დადგენილების თანახმად დამტკიცებულია გუდაურის სარეკრეაციო ტერიტორიის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა. გეგმარებითი ტერიტორიის დიდი ნაწილი აღნიშნული გუდაურის სარეკრეაციო ტერიტორიის საზღვრებშია მოქცეული. წარმოდგენილ დოკუმენტაციაში მოცემულია გეგმარებითი არეალისა და სტრატეგიული დოკუმენტის მიმართება ზემოაღნიშნულ სტრატეგიულ დოკუმენტთან.

კონცეფციის მიხედვით, გამოყოფილია სამი ძირითადი კომპონენტი: **მოსახლეობა, კულტურული მემკვიდრეობა და ლანდშაფტი**. აღნიშნული სამი კომპონენტის ურთიერთმიმართებით ჩამოყალიბებულია მთავარი მიზანი: სიცოცხლისუნარიანი გარემოს შექმნა, მთავარი ღირებულებების შენარჩუნების გზით.

ასევე, კონცეფციის მიხედვით, წარმოდგენილია სამი მთავარი ამოცანა: ჯანსაღი საცხოვრებელი გარემოს განვითარება, არსებული კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება, არსებული ლანდშაფტის შენარჩუნება. ბუნებრივი ლანდშაფტის დაცვისა და შენარჩუნების ამოცანის სტრატეგია: არსებული ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენება და არსებული ფლორისა და ფაუნის შენარჩუნება. არსებული ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენება მოიცავს სამშენებლო/არასამშენებლო ტერიტორიების განსაზღვრას, მდგრად სოფლის მეურნეობას და ბუნებრივი საფრთხეების მართვას.

არსებული ფლორისა და ფაუნის შენარჩუნება დაკავშირებულია ეკოსისტემის მნიშვნელოვანი არეალების განსაზღვრა-დაცვასთან, სასმელი და მინერალური წყლების სანიტარული ზონების დადგენასთან, ჰაერის, ბგერითი, სინათლის დაბინძურებასთან, ვიბრაციის მართვასთან და კლიმატის ცვლილების რისკების დადგენა-მართვასთან.

ხადას ხეობის განვითარების გეგმა დაფუძნებულია ისტორიულ-კულტურული საყრდენი გეგმის ძირითად დებულებებზე. ისტორიულ-კულტურული საყრდენი გეგმის თანახმად, დოკუმენტის თანახმად, 5 ისტორიული სოფელი (წკერე, მულურე, ქოროლო, იუხო, სვიანა-როსტიანი), ისტორიული განაშენიანების დაცვის ზონაშია მოქცეული, რაც კანონის მიხედვით, არსებული ფასეულობის სრულად შენარჩუნებას გულისხმობს. განვითარების გეგმის მიხედვით, აღნიშნულ სოფლებში განსაზღვრულია, მხოლოდ კანონით დადგენილი სამუშაოების წარმოება, რაც არსებული შენობების რესტავრაცია-რეკონსტრუქციას გულისხმობს. აღნიშნულ სოფლებში არ იგეგმება განაშენიანება.

აღნიშნული გეგმის მიხედვით, განაშენიანების რეგულირების ზონაში 3 სოფელი (ზაქათკარი, ბენიან-ნებოგი, გომურნი) შედის, რომლის საზღვრებში დაცულია ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის თვალსაზრისით ღირებული შენობები და ურბანული ქსოვილი. ამასთან, განვითარების გეგმაში განსაზღვრულია განაშენიანების სტრუქტურის ე.წ. „გამსხვილება“ განაშენიანების სარეკომენდაციო საზღვრების დაცვით.

ხადას ხეობის განაშენიანების გეგმის ხედვით გათვალისწინებულია შემდეგი ფუნქციები:

- **საბაზისო ინფრასტრუქტურა:** საკანალიზაციო სისტემა, წყალმომარაგება, გაზი, ელექტროენერჯია, ინტერნეტი და მობილური ქსელი, ნარჩენების მართვა, სოფლების დამაკავშირებელი გზები (ბედონი-წკერე), ავტოსადგომები და საჯარო სივრცეები სოფლებში, მუნიციპალური ტრანსპორტის ინფრასტრუქტურა, სამეზობლო პარკი (ქვეშეთი), სპორტული კომპლექსი (ქვეშეთი), არსებული სკოლისა და საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია (ქვეშეთი), ზვავისაგან დაცვა (ბენიან-ბეგონი), ბუნებრივი საფრთხეების მართვის გეგმა.
- **სპეციფიკური პროექტები:** ხადას ხეობის საკომუნიკაციო ჯგუფი, ხადას ხეობის სათემო ცენტრი, ეთნოგრაფიული სივრცე, არქეოლოგიის მუზეუმი და კვლევითი ცენტრი, პროფესიული კოლეჯი, სამედიცინო ცენტრი, სამაშველო და სახანძრო პუნქტი, ვიზიტორთა ცენტრი, სალაშქრო და საველოსიპედ ბილიკები, საფეხმავლო ხიდი (ქოროლო), საფეხმავლო ხიდი (პლატო-მულურე), კანიონის ბილიკი, გეოლოგიური ბილიკი, მინერალური წყლის ტერიტორია, ლანდშაფტის ბიომრავალფეროვნების პარკი და საექსპოზიციო ფერმა, აგრარული ბაზარი, ცენტრალური ავტოსადგომი, ლანდშაფტის ინტერვენციები, ქვეშეთის ქუჩის რეკონსტრუქცია, კომპლექსისა და საკულტო ძეგლების რესტავრაცია, საცხოვრებელი ერთეულების აღდგენა, კულტურული მემკვიდრეობის მართვის გეგმა, ბიატლონის მოედანი, ქოროლოს ბანაკი.
- **ხელშეწყობის პროგრამები:** საოჯახო სასტუმროები, რძის/ყველის საწარმო, ფერმერების მხარდაჭერა, საჯინიბოები, კაფეები, კემპინგის ზონა, ადგილობრივი რეწვის სახელოსნო, ოჯახზე დაფუძნებული საბავშვო ბაღი.

სტრატეგიულ დოკუმენტში ასევე შეფასებულია მობილობის სოციო-ეკონომიკური ხასიათი, მობილობის სამომავლო ხედვა და სოფლის მეურნეობის განვითარების კონცეფცია.

სტრატეგიულ დოკუმენტში წარმოდგენილია ძირითადი რეკომენდაციები და მეთოდოლოგია ძეგლებისა და ღირებული ობიექტების კონსერვაციის, რესტავრაციისა და ადაპტაციისათვის.

სტრატეგიული დოკუმენტის მიხედვით, საჭიროა ხადას ხეობის ადგილობრივი არქიტექტურის ელემენტების როგორცაა ბუნებრივი მასალების და სახლების ორიენტაციის შენარჩუნება. მოცემულია რეკომენდაციები როგორც ძველი ნაგებობებისთვის, ასევე ახალი სტრუქტურების მშენებლობისთვის. წარმოდგენილია სოფლების კეთილმოწყობის მაგალითები და საფორთიფიკაციო და საკულტო ნაგებობების, ციხე-სახლების, XIX, XX, XXI საუკუნის საცხოვრებელი სახლებისა და სამონასტრო კომპლექსების გადახურვის ტიპისა და მასალების შესახებ ხედვები. წარმოდგენილია ხედვები სოფლების შიდა, ცენტრალური და პერიფერიული ბილიკების, სოფლების დამაკავშირებელი სამანქანო გზებისა და ქუჩის გასწვრივ მოსაწყობი ღობის მოსაპირკეთებელი მასალების, ზოგადი ვიზუალისა და ფორმების შესახებ.

სტრატეგიული დოკუმენტის მიხედვით, სოფლებს შორის და მაგისტრალთან კავშირის უზრუნველსაყოფად აუცილებელია ხეობის ყველა სოფლის შიდა გზების რეაბილიტაცია. გზის პარამეტრები ისე უნდა იყოს განსაზღვრული, რომ უარყოფითი ზემოქმედება არ მოახდინოს ხეობის ლანდშაფტზე. ამასთან, დოკუმენტის მიხედვით, წარმოდგენილია ხედვა სოფლების შიდა საზოგადოებრივი სივრცეების კეთილმოწყობასთან დაკავშირებით, რომლის მიხედვითაც სოფლებში უნდა მოეწყოს საზოგადოებრივი ავტოსადგომები, მოედნები და გარე განათება, უნდა დამუშავდეს სოფლების ურბანული დიზაინი და გზების და მოედნების ვერტიკალური გეგმარება.

სტრატეგიული დოკუმენტის მიხედვით, აუცილებელია ხეობის უზრუნველყოფა მუნიციპალური ავტოტრანსპორტით, რომელიც დააკავშირებს როგორც ხეობის სოფლებს ერთმანეთთან, ასევე ხეობას გუდაურთან და ქვეშეთთან.

სტრატეგიული დოკუმენტის თანახმად, ტერიტორიაზე უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, აუცილებელია არსებული ბუნებრივი საფრთხეების (ზვავი, მეწყერი, ღვარცოფი, წყალმოვარდნა) დეტალური შესწავლა, პირველადი ღონისძიებების გატარება და ბუნებრივი საფრთხეების გრძელვადიანი მართვის გეგმის შემუშავება. წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, სოფელ წკერესა და ბენიან-ბეგონს შორის, საპროექტო გზის აღმოსავლეთით, იდენტიფიცირებულია ზვავსაშიში ტერიტორია, სადაც უნდა მოეწყოს ზვავისგან დამცავი ნაგებობა.

სტრატეგიული დოკუმენტის მიხედვით უნდა შეიქმნას ხადას ხეობის საკოორდინაციო ჯგუფი (დუშეთის მუნიციპალიტეტის დაქვემდებარებაში), რომლის პასუხისმგებლობა იქნება განაშენიანების გეგმის და მასთან ერთად შემუშავებული დოკუმენტების: საინვესტიციო გეგმის, კულტურული მემკვიდრეობის მართვის გეგმისა და ბუნებრივი კატასტროფების მართვის გეგმის ეფექტური აღსრულების უზრუნველყოფა, მონიტორინგი და არსებული და

დაგეგმილი ფუნქციების ზედამხედველობა. აღნიშნული ჯგუფი, სათემო ცენტრთან ერთად იქნება განთავსებული სოფელ ბენიან-ბეგონში არსებულ შენობაში.

ხადას ხეობის განაშენიანების გეგმას აქვს თანდართული ხედვის დოკუმენტი, სადაც მოცემულია ინფორმაცია ტურიზმის განვითარების, სოფლის მეურნეობის განვითარებისა და ტურისტული ბილიკების შესახებ. სტრატეგიული დოკუმენტის ერთ-ერთი ხედვა წარმოადგენს გეგმარებით არეალში სალაშქრო და საველოსიპედე ბილიკების ფუნქციონირებას.

გენერალური გეგმის მიხედვით, სოფელ ქოროლოსთან კავშირის აღსადგენად მოაზრებულია საფეხმავლო ხიდისა (650 მ სიგრძის) და დამატებითი კიბის კონსტრუქციის მოწყობა სოფელში მისასვლელად. საფეხმავლო ხიდი ასევე გათვალისწინებულია სოფელ მულურესთან, რომლითაც იგი დაუკავშირდება ხეობის ცენტრალურ პლატოს. გენერალური გეგმით წარმოდგენილია კანიონის ბილიკის მოწყობა, რომელიც გულისხმობს კანიონების გვერდებზე ხიდებისა და კიბეების ხის კონსტრუქციებით მოწყობასა და მულურეს საფეხმავლო ხიდთან ინტეგრირებას.

გენერალური გეგმის კონცეფციით დაგეგმილია გეოლოგიური ბილიკის მოწყობა, რომელიც დაიწყება სოფელ ბედონის გასასვლელთან ჩრდილოეთით და მდინარე ხადისწყლის მარჯვენა მხარეს გაუყვება. გეოლოგიური ბილიკი დოკუმენტის თანახმად, საჭიროებს მცირე ინფრასტრუქტურულ ჩარევას ლანდშაფტზე.

მინერალური წყლის არეალის კონცეფცია, დოკუმენტის მიხედვით, გულისხმობს სოფელ ციხიანის მიმდებარედ, მდინარის ნაპირთან, ხეობის შიდა გზის გასწვრივ ბუნებრივი მინერალური წყლის წყაროს გარშემო რეკრეაციული ტერიტორიის შექმნას.

სტრატეგიული დოკუმენტით გათვალისწინებული ცენტრალური ავტოსადგომი განთავსდება ქვეშეთი-კობის მონაკვეთის გზატკეცილის მთავარი კვანძის მიმდებარედ. განაშენიანების გეგმის მობილობის სტრატეგიის მიხედვით, ვიზიტორებისთვის შეიზღუდება სოფლებში კერძო ავტომობილით შესვლა. ხეობის ცენტრში განთავსებული ავტოსადგომი და შიდა საზოგადოებრივი ტრანსპორტი ალტერნატიულ საშუალებას შექმნის ხეობის სოფლებში მისასვლელად.

სტრატეგიული დოკუმენტით გათვალისწინებული ბიატლონის მოედნის განსათავსებლად შეირჩა ზაქათკარის პლატო, მისი ფორმისა და ბიატლონის არენისთვის შესაფერისი მახასიათებლებიდან გამომდინარე.

სტრატეგიული დოკუმენტში, ლანდშაფტის სახელმძღვანელოს ნაწილში, ქვეშეთი-კობის გზით გამოწვეული უარყოფითი ვიზუალური ზემოქმედებისა და ხმაურის შესამცირებლად, წარმოდგენილია ლანდშაფტის ინტერვენციების ხედვები და ღონისძიებები. ლანდშაფტის

სახელმძღვანელოს მიხედვით, გზის ზედაპირის მონაკვეთების პოტენციური ვიზუალური ზემოქმედება შეფასებულია მნიშვნელოვან ხედებთან მიმართებაში. დოკუმენტის თანახმად, ზემოაღნიშნული ლანდშაფტის ინტერვენციებით გათვალისწინებული გამწვანებისთვის გამოყენებული უნდა იყოს ხადას ხეობისთვის დამახასიათებელი ფლორის წარმომადგენელი სახეობები. წარმოდგენილია მცენარეთა სახეობების სია, ინტერვენციების შესაბამისი აღწერები და ნახაზები.

ლანდშაფტური ინტერვენცია „წკერე 1“ განიხილავს განსაზღვრულ ტერიტორიაზე კონკრეტული სახეობის ხეებისა და ბუჩქების დარგვას, სოფლის შესასვლელთან არსებული მდელოსა და წკერეს ხედის დაცვას, არსებული წყლის მცირე არხის შენარჩუნებასა და პოტენციური ავტოსადგომის განთავსების ადგილს.

ლანდშაფტური ინტერვენცია „წკერე 2“ განიხილავს ბუჩქებისა და ხეების მჭიდროდ დარგვას გზის დამხმარე ტექნიკურ ნაგებობასთან არსებული საყრდენი კედლის კიდეებთან, კიდეზე ღობის მოწყობის დიზაინს, უსაფრთხოების მიზნით კედლის კიდის ჯგბირებით შემოფარგვლას, ტექნიკური შენობების დიზაინის ცვლილებას, ტექნიკური შენობების ტერიტორიის ე.წ. „მწვანე სახურავით“ დაფარვის საკითხს.

ლანდშაფტური ინტერვენცია, სახელწოდებით „ზვავისგან დაცვა“ განიხილავს მაგისტრალისა და ადგილობრივი გზის ზვავისგან დამცავი კედლის ფორმის ნაწილობრივ კორექტირებას, რათა რელიეფში საჭირო ჩარევის ფორმა და დახრილობა შეესაბამებოდეს არსებულ რელიეფს და ფერდობის მორფოლოგიას. ასევე განიხილავს გამწვანებასა და დამცავი კედლის „კაშხლის“ თავზე საფენმავლო ბილიკის მოწყობას.

ლანდშაფტური ინტერვენცია „კვანძი“ და „ლანდშაფტური პარკი“ სოფელ გომურთან არსებული მაგისტრალური გზის მთავარი „კვანძის“ მიმდებარედ განიხილავს გზის ირგვლივ გამწვანებული ზოლისა და ლანდშაფტური პარკის შექმნის ღონისძიებებს. აღნიშნული ღონისძიებებით გზატკეცილსა და სოფელ გომურს შორის შეიქმნება ერთგავრი მწვანე ბუფერული ზონა, რაც, დოკუმენტის თანახმად, შეამცირებს ჰაერისა და ხმაურით დაბინძურებას. სტრატეგიულ დოკუმენტში წარმოდგენილია ლანდშაფტური პარკის კონცეფცია და დეტალური აღწერა.

ლანდშაფტური ინტერვენცია „სვიანა-როსტიანი“ (მე-2 გვირაბის შესასვლელიდან მე-3 ხიდამდე გზის მონაკვეთი) განიხილავს რელიეფის, კერძოდ, შედარებით ციცაბო და დამეწყრილი ფერდობის რეორგანიზებას, რამდენიმე ქვის კედლის აგებას, კედლების ზემოთ ტერასების შექმნას. ლანდშაფტური ინტერვენციის აღწერის მიხედვით ფერდობის ბოლოში ფიქსირდება ძველი მეწყერის კვალი, ხოლო ფერდობის ზედა ნაწილში ბზარი, ინტერვენციის თანახმად, ფერდობის ქვედა ნაწილი უნდა დასტაბილურდეს ტყის გაშენებით, რათა თავიდან იქნას აცილებული შემდგომი მეწყერი ზედა ნაწილში.

ლანდშაფტური ინტერვენცია “ზაქათკარი” განიხილავს სოფელ ზაქათკარის მომიჯნავე გვერდისა და გზის მეორე მხარეს გამწვანების მოწყობას, ასევე, სოფლის სამხრეთ-აღმოსავლეთით რელიეფის ხელოვნურად გაზრდას, ხმაურის საწინააღმდეგო მიწაყრილის შექმნასა და გამწვანების მოწყობას.

სკოპინგის განცხადებაში წარმოდგენილია ინფორმაცია ხადას ხეობის კლიმატური, გეოლოგიური და ჰიდროგეოლოგიური პირობების, რელიეფის, ნიადაგების, ჰიდროლოგიური ქსელის, ბუნებრივი საფრთხეების, სასარგებლო წიაღისეულისა და ბიომრავალფეროვნების შესახებ.

სკოპინგის განცხადების თანახმად, საკვლევი ტერიტორია მდინარე ხადისწყლის ვრცელ ეროზიულ ხეობას წარმოადგენს. ხეობას აქვს დიდი დახრილობა (50-60%), მდინარე კი ხასიათდება ჩქარი დინებით და ღვარცოფებით. ეროზიული პროცესები ინტენსიურად მიმდინარეობს მცენარეულ საფარს მოკლებულ და კორდის ძლიერი დარღვევის მქონე ფერდობებზე. ხეობის გეოლოგიური აგებულება, მისთვის დამახასიათებელი მთაგორიანი რელიეფი, ფერდობთა მკვეთრი დახრილობა და სპეციფიკური კლიმატურ-მეტეოროლოგიური სიტუაცია ქმნის შემდეგ სტიქიურ მოვლენებს: წყალდიდობები, წყალმოვარდნები, ღვარცოფები, მეწყერები, თოვლის ზვავები. ამგვარ პირობებში განსაკუთრებულ საშიშროებას, დოკუმენტის მიხედვით, წარმოადგენს აუზის პირველი, მეორე და უფრო მაღალი რიგის მუდმივი თუ ეპიზოდური მოქმედების შენაკადები და ხევები.

სკოპინგის განცხადების მიხედვით, გეგმარებით ტერიტორიაზე ტყე ფრაგმენტულად არის გავრცელებული და საერთო ფართობის 15%-ს შეადგენს. წარმოდგენილია ტერიტორიაზე გავრცელებულ მცენარეთა და ცხოველთა სახეობების ჩამონათვალი.

სკოპინგის განცხადების თანახმად, სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელების ტერიტორია არ კვეთს არცერთ დაცულ ტერიტორიას. გეგმარებითი არეალის საზღვრიდან .5 კმ-ში მდებარეობს ყაზბეგის ეროვნული პარკი დაახლოებით 6.8 კმ-ში არაგვის დაცული ლანდშაფტი, დაახლოებით 10 კმ-ში თრუსოს ხეობის დაცული ლანდშაფტი. გეგმარებითი არეალის სიახლოვეს ასევე წარმოდგენილია სამიგრაციო მარშრუტი - ჯვრის უღელტეხილი, რომელიც გამოიყენება მრავალი მტაცებელი ფრინველის, წყლის ფრინველის და ბელურასნაირების მიერ. გეგმარებითი ერთეულის მახლობლად მდებარეობს ზურმუხტის ქსელის საიტი - „ყაზბეგი“ (GE0000009) და ფრინველთათვის მნიშვნელოვანი ადგილი (Kazbegi GE021).

სკოპინგის განცხადებაში წარმოდგენილია ხეობასა და გეგმარებით არეალში შემავალ სოფლებში არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების და ობიექტების ნუსხა. ცხრილის სახით მოცემულია არსებული და სარეკომენდაციო კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები დასახლებული პუნქტების მიხედვით.

ხადას ხეობის განაშენიანების გეგმის ხედვის შემუშავება გულისხმობს სხვადასხვა კომპონენტში განვითარების მიმართულებების ალტერნატივების დაშვებას, მათ შედარებით ანალიზსა და საბოლოოდ განვითარების ყველაზე ოპტიმალური სცენარის შერჩევას. აღნიშნული მიდგომით, სკოპინგის განცხადების თანახმად, განხილული იქნება როგორც განაშენიანების გეგმის ზოგადი ხედვის, ასევე, კონკრეტული, ლოკალური განვითარების ალტერნატივები.

სტრატეგიულ დოკუმენტსა და სკოპინგის განცხადებაში ხადას ხეობის განაშენიანების გეგმის ზოგადი ხედვა წარმოდგენილია სამ ალტერნატივად:

1. ნულოვანი ალტერნატივა გულისხმობს ხეობის სტიქიურ და თავისთავად განვითარებას. აღნიშნული ალტერნატივის მიხედვით, ქვეშეითი-კობის გზის მშენებლობის დასრულების შემდეგ ხადას ხეობა დამოუკიდებლად, ინერციითა და არარეგულარულად განვითარდება და შეიცვლება არსებული განაშენიანების მორფოლოგია.
2. კონსერვაციაზე დაფუძნებული განვითარება - ამ ალტერნატივის ფარგლებში მოიაზრება განაშენიანების რეგულირების ზონების დადგენა, რაც ისტორიულ-კულტურული საყრდენი გეგმის ფარგლებში დადგენილი კულტურული მემკვიდრეობის ზოგადი დაცვის ზონების საფუძველზე დადგინდება და ხელს შეუწყობს რეგულირებულ განაშენიანებას. ამას გარდა, ეს ალტერნატივა ითვალისწინებს ინდივიდუალური და საერთო (ან ცენტრალური მმართველობის) ეკონომიკური სუბიექტების შექმნას სოციალური ინკლუზიის შესაბამისად.
3. ხადას ხეობის გუდაურის კურორტის გაფართოების პოტენციალით განვითარება. ამ ალტერნატივის მიხედვით, ხადას ხეობა განიხილება, როგორც გუდაურის სეზონური გადატვირთვის გადანაწილების საშუალება. ამ შემთხვევაში ხეობაში განვითარდება ინტენსიური ტურისტული სერვისები (სასტუმროები, მომსახურების ობიექტები).

სტრატეგიულ დოკუმენტში წარმოდგენილია ზემოაღნიშნული ალტერნატივების ხარისხობრივი შეფასების ცხრილი სხვადასხვა კომპონენტის მიმართ (მათ შორის ლანდშაფტის ცვლილება, ბიომრავალფეროვნების დაცვა, ბუნებრივი რესურსის გამოყენება). სტრატეგიულ დოკუმენტში, აღნიშნული ცხრილის ანალიზის საფუძველზე კონსერვაციაზე დაფუძნებული განვითარების ალტერნატივა შეფასებულია პრიორიტეტულად.

სკოპინგის განცხადებაში ხადას ხეობის ლანდშაფტური და სოფლების სივრცითი განლაგების თავისებურებებიდან გამომდინარე წარმოდგენილია და აღწერილია 3 ალტერნატივა:

1. საპროექტო ტერიტორიის, როგორც ერთი ერთეულის გეგმარებითი მიდგომა;
2. საპროექტო ტერიტორიის ორ ნაწილად განხილვა (იურიდიული დაყოფა);
3. ხადას ხეობის სოფლების კატეგორიზაცია სამ ძირითად მიდგომად;

სკოპინგის განცხადების თანახმად, სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელებას გარკვეული უარყოფითი ზემოქმედება ექნება გარემოს კომპონენტებზე. ზემოქმედების



ხანგრძლივობა დამოკიდებული იქნება განაშენიანების გეგმის ხედვების განხორციელების პერიოდთან. ამასთან, დოკუმენტის თანახმად, სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელებას შედარებით უფრო ხანგრძლივი დადებითი ზემოქმედება ექნება გეგმარებითი არეალის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე. წარმოდგენილია გარემოს რეცეპტორზე ზემოქმედების წინასწარი მოკლე შეფასებები. ასევე, ცხრილის სახით მოცემულია გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე ზემოქმედების ფაქტორების მოკლე შეჯამება კონკრეტული საკითხების/პრობლემებისა და გავრცელების გეოგრაფიული არეალის მითითებით. ამასთან, დოკუმენტის მიხედვით, სგშ-ის ანგარიშში ზემოქმედებები დახასიათებული იქნება დეტალურად.

სკოპინგის განცხადების თანახმად, ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე ზემოქმედება ძირითადად ინფრასტრუქტურის მოწყობის პერიოდში გამოყენებულ ტექნიკა-დანადგარების მუშაობასთან და მიწის სამუშაოებთან იქნება დაკავშირებული. მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედება არ იქნება მუდმივი ხასიათის და სამუშაოების დასრულების შემდეგ ატმოსფერულ ჰაერზე უარყოფითი ზემოქმედების მასშტაბი შემცირდება. ხანგრძლივი ზემოქმედება დაკავშირებული იქნება ახალი ინფრასტრუქტურული ობიექტების გაჩენასთან, რომელთა ფუნქციონირებამ შესაძლოა ფონურ მდგომარეობაზე გარკვეული სახის ზემოქმედება იქონიოს.

სკოპინგის განცხადების მიხედვით, სტრატეგიული დოკუმენტის შემუშავებისას ასევე გათვალისწინებული იქნება ქვეშეთი-კობის მონაკვეთის მაგისტრალის მშენებლობითა და ექსპლუატაციით გამოწვეული ზემოქმედება ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე, ხოლო სგშ-ის ანგარიშში ასახული იქნება საპროექტო მაგისტრალის მოწყობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე ხმაურის გავრცელებისა და ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების გაფრქვევის მოდელირების შედეგები.

სკოპინგის განცხადების თანახმად, სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელებისას არსებობს მდინარე ხადისწყლის ხარისხზე უარყოფითი ზემოქმედების რისკები. უარყოფითი ზემოქმედება, დოკუმენტის თანახმად, ძირითადად დაკავშირებული იქნება სტრატეგიული დოკუმენტით გათვალისწინებული ხედვების განხორციელების პერიოდში სამუშაოების არასწორ წარმართვასთან, ნარჩენების არასათანადო მართვასთან, ავარიულ სიტუაციებთან და დაუდევრობასთან.

სტრატეგიულ დოკუმენტში მოცემული ახალი ობიექტების მოწყობა და გეგმარებით არეალში ადამიანთა რაოდენობის მატება, სკოპინგის განცხადების თანახმად, დაკავშირებული იქნება ჩამდინარე წყლების რაოდენობის ზრდასთან, რაც ქმნის ზედაპირულ წყლებზე უარყოფითი ზემოქმედების რისკებს ხანგრძლივი პერიოდით.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, კონცეფცია გეგმარებით არეალში არსებული დასახლებული პუნქტებისთვის ითვალისწინებს საკანალიზაციო სისტემის მოწყობას.

სკოპინგის განცხადების თანახმად, აღნიშნული ინფრასტრუქტურის მოწყობას დადებითი ზემოქმედება ექნება წყლის გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების პრევენცია-შერბილების თვალსაზრისით.

სტრატეგიული დოკუმენტით წარმოდგენილი ხედვების ნაწილი მოიცავს დღევანდელი მდგომარეობით აუთვისებელ არეალებს, სადაც ინფრასტრუქტურის მოწყობა ითვალისწინებს ნიადაგის და გრუნტის სამუშაოების განხორციელებას, რაც სკოპინგის განცხადების თანახმად, პირდაპირ ზემოქმედებას იქონიებს ნიადაგსა და გრუნტზე. ნიადაგის ხარისხზე უარყოფითი ზემოქმედება ასევე დაკავშირებული იქნება სამუშაოების არასწორ წარმართვასთან, ნარჩენების არასათანადო მართვასთან და ავარიულ დაღვრებთან.

სკოპინგის განცხადების თანახმად, განაშენიანების გეგმის ხედვები ძირითადად დასახლებულ პუნქტებს მოიცავს და აქედან გამომდინარე ხედვების განხორციელებით მცენარეულ საფარზე უარყოფითი ზემოქმედება დაბალი იქნება. დოკუმენტის თანახმად, კონცეფციის ხედვების განხორციელებით ბიომრავალფეროვნებაზე ძირითადად არაპირდაპირი ზემოქმედებაა მოსალოდნელი. ზემოქმედება უმეტესწილად დაკავშირებული იქნება ხმაურის გავრცელებასთან და ფაუნის სახეობების დროებით შემფოთებასთან.

დოკუმენტის თანახმად, ვიზუალურ-ლანდშაფტურ გარემოზე უარყოფითი ზემოქმედება მოსალოდნელია სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელებისას, რასაც ასევე შეიძლება კუმულაციური ეფექტი ჰქონდეს მშენებარე მაგისტრალთან ერთად.

სგშ-ის ანგარიშის წარმოდგენის ეტაპზე, დოკუმენტის თანახმად, ხადას ხეობის განაშენიანების გეგმა გაანალიზებული და განხილული იქნება ხადას ხეობის ისტორიულ-კულტურულ საყრდენ გეგმასთან და გუდაურის გენგეგმასთან მიმართებაში.

სკოპინგის განცხადების თანახმად, საბაზისო კვლევების საშუალებით გამოვლინდება მაღალსენსიტიური რეცეპტორები, რისი მეშვეობითაც სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების პროცესში განისაზღვრება გარემოზე და ადამიანის ჯანმრთელობაზე შესაძლო მნიშვნელოვანი ზემოქმედებების მასშტაბები და ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებები/რეკომენდაციები. ვინაიდან ქვეშეთი-კობის მაგისტრალისა და ხადას ხეობის ისტორიულ-კულტურულ საყრდენი გეგმის პროექტების ფარგლებში ჩატარებული კვლევები ფარავს სტრატეგიული დოკუმენტით განსაზღვრულ არეალს, სკოპინგის განცხადების თანახმად, სგშ-ის ანგარიშისთვის გამოყენებული იქნება ყველა საჭირო კვლევის შედეგი, ხოლო საჭიროების შემთხვევაში მოხდება ამ კვლევების შევსება/განახლება.

დოკუმენტის თანახმად, სგშ-ის ანგარიშში დეტალურად იქნება განხილული გეგმარებით არეალში არსებული გეოდინამიკური პროცესები. შეფასდება მაღალი რისკის მქონე უბნები, გეოდინამიკური პროცესების სავარაუდო განვითარების პროგნოზები და შემუშავდება პრევენციის/შერბილების რეკომენდაციები.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, სგშ-ის ანგარიშში ასევე დეტალურად იქნება განხილული ისტორიულ-კულტურულ საყრდენი გეგმის კვლევის შედეგები და ის რეკომენდაციები, რომლებიც კულტურული მემკვიდრეობის დასაცავად იქნება შემუშავებული.

სკოპინგის ანგარიშში ცხრილის სახით არის მოცემული ინფორმაცია სგშ-ის მომზადების ეტაპზე შესასწავლ, გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ საკითხებზე, როგორცაა - ატმოსფერული ჰაერის ხარისხი და ხმაურის დონე, ნიადაგი, ზედაპირული და მიწისქვეშა წყლები, ბიომრავალფეროვნება, გეოდინამიკური პროცესები, ვიზუალურ-ლანდშაფტური გარემო, ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობა, სოციო-ეკონომიკური საკითხები.

სკოპინგის განცხადების თანახმად, უარყოფითი ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების განსაზღვრა მოხდება მაშინ, როდესაც დაზუსტდება ხედვების ზუსტი ადგილმდებარეობები, მასშტაბები და შემოთავაზებული ალტერნატივებიდან შეირჩევა ხეობის განვითარებისთვის პრიორიტეტული ვარიანტი.

მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედების მინიმუმამდე შემცირებისთვის, შესაძლოა პროექტის მომდევნო ეტაპებისთვის, საბაზისო კვლევებთან ერთად, საჭირო გახდეს სხვა დამატებითი კვლევების ჩატარების აუცილებლობა. ჩატარებული კვლევის შედეგების საშუალებით მოხდება შემარბილებელი და კომპენსირებისათვის საჭირო ღონისძიებათა ერთობლიობის და რეკომენდაციების ზუსტი განსაზღვრა შემდეგი რეცეპტორებისთვის: ატმოსფერული ჰაერი, ზედაპირული და მიწისქვეშა წყლები, ნიადაგი, ბიოლოგიური გარემო, არქეოლოგიური და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები, ვიზუალურ ლანდშაფტური გარემო და სოციალური გარემო.

ხადას ხეობის განაშენიანების გეგმის კონცეფციის სგშ-ის სკოპინგის განცხადება და თანდართული დოკუმენტაცია განხილვის მიზნით გაეგზავნა სსიპ მინერალური რესურსების ეროვნულ სააგენტოს, საქართველოს კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის სამინისტროსა და სსიპ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს. სპორტის და ახალგაზრდობის სამინისტროსა და სსიპ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოსგან სტრატეგიული დოკუმენტის შესახებ შენიშვნებისა და მოსაზრებების მიღების შემდგომ, დამატებით მიეწოდება წერილობით დამგეგმავ ორგანოს.

საზოგადოების მხრიდან სტრატეგიული დოკუმენტის თაობაზე შენიშვნები და მოსაზრებები სააგენტოში არ წარმოდგენილა.

**სგშ-ის ანგარიშის მომზადებისთვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი:**

1. სგშ-ის ანგარიში უნდა მოიცავდეს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 26-ე მუხლით დადგენილ ინფორმაციას;
2. სგშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს სკოპინგის განცხადებაში მითითებული (განსაზღვრული, ჩასატარებელი) კვლევების შედეგები, მოპოვებული და შესწავლილი ინფორმაცია.
3. სგშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს სტრატეგიული დოკუმენტისთვის საკვანძო გარემოსდაცვითი საკითხები და სგშ-ის პროცესში შესწავლილი ზემოქმედებები;
4. სგშ-ის ანგარიშში უნდა შეფასდეს გეგმის სხვადასხვა სექტორულ და მულტისექტორულ სტრატეგიულ დოკუმენტებთან კავშირი;
5. სგშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს სტრატეგიული დოკუმენტით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელების საანგარიშო პერიოდი, მათ შორის გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის დანართებით გათვალისწინებული იმ საქმიანობების ვადების მითითებით, რომელთა განხორციელებაც იგეგმება სტრატეგიული დოკუმენტის ფარგლებში;
6. სგშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს საზოგადოების ინფორმირებისა და მონაწილეობის შესახებ ინფორმაცია, თარიღების, განხილული საკითხებისა და სტრატეგიული დოკუმენტის მომზადების პროცესში მიღებული შენიშვნების გათვალისწინების შესახებ, მათ შორის დაინტერესებულ საზოგადოებასთან კონსულტაციის შედეგები. ასევე კონცეფციით გათვალისწინებულ ხედვებსა და ღონისძიებებთან დაკავშირებით, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტთან განხორციელებული კონსულტაციების შედეგების შესახებ ინფორმაცია.
7. სგშ-ის ანგარიშის გეოლოგიური ნაწილი წარმოდგენილი უნდა იყოს ქვეთავების სახით, შემდეგი თანმიმდევრობით: რელიეფი (გეომორფოლოგია), გეოლოგიური აგებულება, სეისმური პირობები, ჰიდროგეოლოგიური პირობები, საინჟინრო - გეოლოგიური პირობები, გეოლოგიური საფრთხეების შეფასება, შესაბამისი ზონირების რუკის შემუშავებით.
8. სგშ-ის ანგარიშში აუცილებელია მდინარე ხადისწყლისა და მისი აუზის ჰიდრომორფომეტრული მონაცემების წარმოდგენა. გასათვალისწინებელია, რომ მდინარე ხადისწყალი ჰიდროლოგიურად შესწავლილი წყლის ობიექტია (ჰ/ს ხადისწყალი სოფ. წკერე, დაკვირვების პერიოდი - 1958-86 წწ.).
9. სგშ-ის ანგარიშში უნდა იყოს განხილული სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელებით წყლის გარემოზე, ნიადაგსა და გარემოს სხვა კომპონენტებზე შესაძლო ზემოქმედების შესახებ შესაძლო უარყოფითი ზემოქმედების ხარისხი და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები და მონიტორინგის ღონისძიებები. წარმოდგენილი უნდა იყოს შესაბამისი შემარბილებელი და მონიტორინგის ღონისძიებების გეგმები (პასუხისმგებელი პირ(ებ)ის მითითებით).

10. სგშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს განაშენიანების გეგმით გათვალისწინებული პროექტების/ღონისძიებების განხორციელების ადგილმდებარეობა და მათი განხორციელებით მოსალოდნელი ზემოქმედების აღწერა ბიომრავალფეროვნებაზე.
11. სგშ-ის ანგარიშში ნარჩენების მართვის საკითხები წარმოდგენილი უნდა იყოს ნარჩენების მართვის კოდექსისა და მისგან გამომდინარე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მოთხოვნების შესაბამისად. ასევე, წარმოდგენილი უნდა იყოს სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელების ეტაპზე მოსალოდნელი ნარჩენების (კოდები, დასახელებები რაოდენობა და შემდგომი მართვის ღონისძიებები) შესახებ ინფორმაცია. მუნიციპალიტეტმა უნდა უზრუნველყოს მუნიციპალური ნარჩენების შეგროვება და ამ მიზნით მუნიციპალური ნარჩენების შეგროვების სისტემის გამართული ფუნქციონირება, ასევე, მუნიციპალური ნარჩენების წყაროსთან სეპარირებული შეგროვების სისტემის ეტაპობრივი დანერგვა და გამართული ფუნქციონირება ნარჩენების მართვის კოდექსისა და საქართველოს მთავრობის 2016 წლის 1 აპრილის №159 დადგენილების „ტექნიკური რეგლამენტი - მუნიციპალური ნარჩენების შეგროვებისა და დამუშავების წესის“ მოთხოვნების შესაბამისად.
12. სგშ-ის ანგარიშში უნდა აისახოს კონცეფციაზე თანდართული გრაფიკული მასალით წარმოდგენილი ზონების შესახებ ინფორმაცია, კერძოდ, განაშენიანების პარამეტრები, სიმჭიდროვეები, შეზღუდვები, შენობებისთვის დასაშვები სიმაღლის ზღვრები. ასევე, უნდა აისახოს ინფორმაცია სტრატეგიულ დოკუმენტში ნახსენები ისტორიული სოფლებისა და გარემოს სარეკომენდაციო დამცავი ზონების შესახებ.
13. სგშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს როგორც განაშენიანების გეგმის ზოგადი ხედვის, ასევე, კონკრეტული, ლოკალური განვითარების, დოკუმენტით წარმოდგენილი ხედვების ალტერნატივების განხილვა, ამ ალტერნატივების შეფასება და შედარება გარემოსა და/ან ადამიანის ჯანმრთელობაზე მათი ზემოქმედების თვალსაზრისით. ალტერნატივების შერჩევა უნდა მოხდეს შემოთავაზებული ალტერნატივების (მათ შორის ნულოვანი ალტერნატივა) გარემოს კომპონენტებზე მოსალოდნელი ზემოქმედების ფაქტორის ხარისხის გათვალისწინებით. წარმოდგენილი უნდა იყოს ალტერნატივების შერჩევის მიმოხილვა. ალტერნატივების შეფასების მიზნით, გამოყენებული უნდა იყოს მატრიცები (მაგალითად ინდიკატორული შეფასების რანჟირების მატრიცა).
14. სგშ-ის ანგარიშში უნდა აისახოს ინფორმაცია დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტების შედეგად ატმოსფერულ ჰაერზე გამოწვეული ზემოქმედების თაობაზე, შესაბამისი პრევენციული და შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით.
15. სგშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს სტრატეგიული დოკუმენტის ხედვების განმახორციელებლ(ებ)ის შესახებ ინფორმაცია.
16. სგშ-ის ანგარიშში უნდა აისახოს ინფორმაცია გეგმარებით არეალში არსებული ბუნებრივი საფრთხეების დეტალური შესწავლის და პირველადი ღონისძიებების

გატარების შესახებ. ასევე, წარმოდგენილი უნდა იყოს ბუნებრივი საფრთხეების გრძელვადიანი მართვის გეგმა.

17. **სგშ-ის ანგარიშსა და სტრატეგიულ დოკუმენტში** წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია გეგმარებით არეალში არსებული და მოსაწყობი საფეხმავლო და ველობილიკების შესახებ. ასევე განისაზღვროს ტურისტული აქტივობების ლიმიტები/პირობები.
18. **სგშ-ის ანგარიშში** უნდა აისახოს სტრატეგიულ დოკუმენტში არსებული ფლორისა და ფაუნის შენარჩუნებისთვის განსაზღვრული შემდეგი საკითხების შესახებ დეტალური ინფორმაცია: ეკოსისტემის მნიშვნელოვანი არელების განსაზღვრა-დაცვა, სასმელი და მინერალური წყლების სანიტარული ზონების დადგენა, ჰაერის, ბგერითი, სინათლით დაბინძურებისა და ვიბრაციის მართვის საკითხები.
19. **სგშ-ის ანგარიშში** გათვალისწინებული უნდა იყოს კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული ასპექტები. წარმოდგენილი უნდა იყოს კლიმატის ცვლილების რისკები და საბაზისო მონაცემების/ინფორმაციის ანალიზი კლიმატის ცვლილების ასპექტებთან დაკავშირებით, აგრეთვე, კლიმატის ცვლილების სავარაუდო ზემოქმედების შეფასების მეთოდოლოგია და ინსტრუმენტები, მაგ., არსებული და სამომავლო სცენარები.
20. **სგშ-ის ანგარიშში** შეფასებული უნდა იყოს ლანდშაფტური ინტერვენციების (მათ შორის საინჟინრო ღონისძიებების) განხორციელებით გამოწვეული შესაძლო რისკები და ზემოქმედება გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე.
21. **სგშ-ის ანგარიშში** წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტების, მათ შორის, გზებისა და ხიდების (ასეთის შემთხვევაში) მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე ატმოსფერულ ჰაერზე და გარემოს სხვა კომპონენტებზე შესაძლო ზემოქმედების შესახებ;
22. **სგშ-ის ანგარიშში** იდენტიფიცირებული უნდა იყოს ის ახალი ინფრასტრუქტურული ობიექტები, რომელთა განხორციელებაც, სკოპინგის განცხადების მიხედვით, ატმოსფერულ ჰაერზე ხანგრძლივ ზემოქმედებას გამოიწვევს. წარმოდგენილი უნდა იყოს შესაბამისი პრევენციული და შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;
23. **სგშ-ის ანგარიშში** დეტალურად უნდა იყოს აღწერილი საპროექტო ტერიტორიაზე წყალმომარაგებისა და ასევე ჩამდინარე წყლების მართვის საკითხები. ასევე, წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის მოწყობის შესახებ.
24. **სგშ-ის ანგარიშში** უნდა გაანალიზდეს საერთო სარგებლობის მწვანე სარეკრეაციო არელებზე ხელმისაწვდომობა. ანგარიში ასევე უნდა მოიცავდეს ინფორმაციას რეკრეაციული ტერიტორიების შესახებ.
25. **სგშ-ის ანგარიშში** წარმოდგენილი უნდა იყოს იმ ღონისძიებების ჩამონათვალი, რომელიც დაგეგმილია სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელების შემთხვევაში შესაძლო უარყოფითი ზემოქმედების თავიდან აცილების, შერბილებისა და კომპენსირებისათვის;

26. სგშ-ის ანგარიშში უნდა აისახოს ინფორმაცია ტურიზმის განვითარებისა და ტურისტული ნაკადის ზრდის გათვალისწინებით, გარემოზე ზემოქმედების შესახებ;
27. სგშ-ის ანგარიშზე თანდართული უნდა იყოს სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელების ადგილის და აღნიშნული დოკუმენტით გათვალისწინებული ღონისძიებების/ხედვების განხორციელებისათვის შერჩეული ტერიტორიების Shp ფაილები;
28. სგშ-ის ანგარიშსა და სტრატეგიულ დოკუმენტში საჭიროა წარმოდგენილი იყოს რუკა, სადაც ერთად იქნება ასახული კონცეფციაში წარმოდგენილი ყველა ზონა და დოკუმენტით გათვალისწინებული ღონისძიებები/ხედვები;.
29. სგშ-ის ანგარიშში უნდა იყოს მოცემული ინფორმაცია ანგარიშის მომზადებაში ჩართული ექსპერტების თაობაზე, კვალიფიკაციის მითითებით.
30. სგშ-ის ანგარიშის მომზადებისას გათვალისწინებული უნდა იყოს „სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების შესახებ სახელმძღვანელოთი“ გათვალისწინებული რეკომენდაციები და მიდგომები.
31. სგშ-ის ანგარიშში მიეთითოს გამოყენებული ლიტერატურის/წყაროს ნუსხა;

**სგშ-ის ანგარიშის მომზადებისას გასათვალისწინებელია შემდეგი ინფორმაცია:**

- დანართად წარმოდგენილი მთლიანი 26863197 კვ.მ ფართობიდან „სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების დადგენის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 4 აგვისტოს №299 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების მიხედვით, 6072696 კვ.მ წარმოადგენს სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ სახელმწიფო ტყეს. კერძოდ, ფასანაურის სატყეო უბნის ფასანაურის სატყეოში, კვარტალი NN13;14;20;21;36;60;62;63;64 და ყოფილ საკოლმეურნეო ტყე. სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე „ტყითსარგებლობის წესის შესახებ“ დებულების დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2021 წლის 18 მაისის N221 დადგენილებით (თავი XIV) განსაზღვრული საქმიანობა (საქმიანობისთვის საჭირო წარმოსადგენი დოკუმენტაცია იხ. დანართი N1) ან მისი განკარგვა საჭიროებს შეთანხმებას სახელმწიფო ტყის მართვის უფლების მქონე ორგანოსთან.
- სოფელ ბედონის ჩრდილო დასავლეთით მდებარეობს უსახელო ხევი, რომელიც სათავეს იღებს დიდველის პლატოდან ზღვის დონიდან 1530 მ სიმაღლეზე, და უერთდებოდა მდ. ხადისწყალს მარჯვენა მხრიდან ზღვის დონიდან 1335 მ სიმაღლეზე, ხოლო ამჟამად, წყლის ადიდების შემთხვევაში მიედინება შიდა სასოფლო გზაზე. მშრალი ხევის წყალშემკრები აუზის ფართობი 0.02 კმ<sup>2</sup> -ია, სიგრძე - 500 მ, დახრილობა შეადგენს 20-22<sup>0</sup>-ს. ხევის კალაპოტში შეინიშნება დიდი რაოდენობის ნატანი მასალა, დიდი ლოდების სახით. მისი მთლიანი აუზი დაფარულია მრავალწლოვანი ხე - მცენარეებით. ხევის კალაპოტი ( $X=462745$   $Y=4697719$  კოორდინატებში) ამოვსებულია, ამ ადგილიდან, წყლის მომატების შემთხვევაში, ნაკადი იშლება 2 ნაწილად, საიდანაც პირველი ტოტი მიედინება სოფლისკენ, რომელიც საშიშროებას უქმნის მოსახლეობის

საცხოვრებელ სახლებს და სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს, ხოლო მეორე ტოტი (X=462789 Y=4697799 კოორდინატებში) რეცხავს შიდა სასოფლო გზას. შესაბამისად, საჭიროა ჩატარდეს შემდეგი სახის სამუშაოები: 1. დაგროვებული აკუმულაციური მასალის ამოღება (X=462745 Y=4697719 კოორდინატებში), გასუფთავება მრავალწლოვანი ხე-მცენარეებისგან და ხევის კალაპოტის დაღრმავება. 2. X=462789 Y=4697799 კოორდინატებში შიდასასოფლო გზაზე წყალგამტარი ბოგირის მოწყობა, კალაპოტის გაჭრა და ნაკადის მიმართვა მდინარე ხადისხევის მიმართულებით. მნიშვნელოვანია, რომ ყველა სამუშაო უნდა ჩატარდეს დეტალური ჰიდროლოგიური კვლევების და ჰიდროტექნიკური პროექტის საფუძველზე. სგმ-ის ანგარიშის მომზადებისას აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული აღნიშნული ხევის მდგომარეობა და უნდა შესრულდეს რეკომენდაციაში მითითებული ღონისძიებები.

- სსიპ ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ინფორმაციით, ხადას ხეობის განაშენიანების გეგმის თანდართულ დოკუმენტში – “კვლევის ტექსტური ნაწილი”, მცხეთა-მთიანეთის არეალში ტუროპერატორების კვლევის შედეგების 14.2 ქვეთავი მიმოიხილავს სიტუაციურ ანალიზს არაგვის დაცული ლანდშაფტისა და ფშავ-ხევსურეთის მიმართულებით და არ ფარავს ხადას ხეობას ან მომიჯნავე ტურისტულ მიმართულებებს. დოკუმენტში არ ჩანს კავშირი ხადას ხეობასა და არაგვის დაცულ ლანდშაფტსა და ფშავხევსურეთს შორის. საჭიროა, ხადას ხეობასთან ერთად სიტუაციურ ანალიზში განხილული იყოს გუდაური, მღეთა და ფასანაური - არსებული მდგომარეობის შეფასება. ამასთან, სსიპ ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ცნობით, დოკუმენტის მოსამზადებელი სამუშაო შეხვედრების ფარგლებში, ხეობასთან მიმართებით, განიხილებოდა კონსერვაციისა და არსებული რესურსების გამოყენებით მდგრადი მიმართულებების განვითარების სცენარები. წარმოდგენილი სიცოცხლისუნარიანობის შეფასების დოკუმენტი ტურიზმის შესაძლო განვითარებას განიხილავს ინტენსიური და არაინტენსიური განვითარების სცენარებით. გუდაურის სიახლოვიდან გამომდინარე, ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციას მიზანშეწონილად არ მიაჩნია ტურიზმის ინტენსიური განვითარების სცენარი, რადგან ხადას კულტურული მემკვიდრეობა სრულიად განსხვავებულ მოცემულობას ქმნის არსებულ ლანდშაფტში.
- სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს ცნობით, ხადას ხეობის განაშენიანების საპროექტო ტერიტორია, თანდართული დოკუმენტებით და სსიპ მინერალური რესურსების ეროვნულ სააგენტოში არსებული ინფორმაციით, მოიცავს წკერეს, ბედონის ანდეზიტ-ბაზალტისა და ქვეშეთის ქვიშა-ხრემის საბდოს კონტურებს და შესაბამისად, ექვემდებარება წიაღზე დამაგრებას. ასევე წარმოდგენილ ფართობში ფიქსირდება სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიები #10001605 (მიწისქვეშა მტკნარი წყალი, შპს “პეპო2017”), #10003045 (ქვიშა-ხრემი, შპს “ნიუსფეისი”), #10001711 (ქვიშა-ხრემი, უცხ/საწარმოს ფილ „შპს ჩინეთის რკინიგზის 23-ე ბიუროს ჯგუფი – მუდმივმოქმედი ფილიალი). „წიაღის შესახებ” საქართველოს კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, “აკრძალულია წიაღის ფონდის მიწების



საკუთრების უფლებით, იჯარით ან სხვა ფორმით გაცემა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალ საჯარო სამართლის იურიდიულ პირთან-მინერალური რესურსების ეროვნულ სააგენტოსთან შეთანხმების გარეშე, ხოლო ლიცენზირებული ობიექტის შემთხვევაში - აგრეთვე ლიცენზიის მფლობელთან შეთანხმების გარეშე“.

- სტრატეგიულ დოკუმენტზე თანდართული სიცოცხლისუნარიანობის შეფასების დოკუმენტის თანახმად, „გეგმარებითი ერთეულის მიხედვით ხეობის დასაწყისი და შუაგული წარმოდგენს პლატოს, რაც იძლევა შედარებით ინტენსიური განვითარების საშუალებას ფერდებთან და ხეობებთან შედარებით.“ სტრატეგიულ დოკუმენტსა და სგშ-ის ანგარიშში არ არის მოცემული აღნიშნული ინფორმაცია. საჭიროა დაზუსტდეს აღნიშნული საკითხი.
- კონცეფციის მობილობის ქვეთავის მიხედვით, ვიზიტორთა მზარდი რაოდენობის შედეგად ბუნებრივ ლანდშაფტსა და ადგილობრივ ეკოსისტემაზე უარყოფითი ზემოქმედების შესამცირებლად, დოკუმენტის მიხედვით ხეობის სიახლოვეს უნდა მოეწყოს ავტოსადგომის სივრცე. ოპტიმალურ ლოკაციად წარმოდგენილია სოფელი ქვეშეთი (წარმოდგენილია შესაბამისი რუკა). დოკუმენტის მიხედვით, სატრანსპორტო კვანძებთან მცირე ზომის ავტოსადგომების მოწყობის საჭიროება გამოჩნდება რეგიონის განვითარების პარალელურად. ამასთან, კონცეფციაში მოცემულია ცენტრალური ავტოსადგომის ცენტრალური გზატკეცილის მთავარ კვანძთან განთავსების საკითხი. საჭიროა სტრატეგიულ დოკუმენტში დაზუსტებული იყოს ზემოაღნიშნული ავტოსადგომების რაოდენობისა და ლოკაციის შესახებ საკითხები.
- ხადის ხეობის განაშენიანების გეგმაზე თანდართულ ხედვის დოკუმენტში, საპროექტო ობიექტების ნაწილში წარმოდგენილია “CROSS COUNTRY” თხილამურის ბილიკი (ნახაზით), რომელიც განხილული არ არის სკოპინგის განცხადებასა და სტრატეგიულ დოკუმენტში. საჭიროა სგშ-ის ანგარიშის წარმოდგენისას დაზუსტებული იყოს აღნიშნული საკითხი.
- საპროექტო არეალში მდებარე მდინარეთა სახელწოდებებია: მთიულეთის არაგვი და გუდამაყრის არაგვი;
- მდინარე ხადისწყლის აუზში მყინვარები არ არის (“კვლევის ტექსტური ნაწილი” - გვ-47, მეორე აბზაცი);

**სგშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია სკოპინგის დასკვნით განსაზღვრული თითოეული საკითხის გათვალისწინების შესახებ, ერთიანი ცხრილის სახით.**

#### **დასკვნითი ნაწილი:**

სსიპ სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტოს მიერ ხადას ხეობის განაშენიანების გეგმის კონცეფციის სგშ-ის ანგარიში სავალდებულოა მომზადდეს სკოპინგის

დასკვნით გათვალისწინებული კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის შესაბამისად.